

## პანაღიში

საღებავი თავისი არსით ცვაღებადი ნივთიერებაა. არსებობის რაღაც ეტაპზე შეუღლია, თხევადი მდგომარეობიდან მყარში გადავიღეს. უბრალოდ, ეს საჭირო დროსა და ადგილზე უნდა მოხდეს. სხვა შემთხვევაში შედეგები, შეიღლება, არასასიამოვნო და ტრაგიკულიც კი აღმოჩნდეს. მაგალითად, საღებავი, შეიღლება, პირდაპირ საწყობში გაქვავდეს (როგორც ჩვენ ვიცყოღით, „მოკვდეს“) და იღუღებული გახდეს, მთელი პარტია გადაყარო. ისეც შეიღლება მოხდეს, რომ საღებავის დასამზადებლად საჭირო ფისი სინთეზის დროს გამყარდეს ათ- თუ ოცტონიან რეაქტორში. აი, ეს კი ნამდვილი ტრაგედიაა. საპირისპირო შემთხვევებიც არის: როცა საღებავი შესაღებ ზედაპირზე დატანის შემდეგ არ შრება. ეს ხომ ბედის დაცინვაა! საღებავი, რომელიც არ შრება, იარაღს ჰგავს, რომელიც არ ისვრის ან ხარს, რომელსაც დროხის დამაკება არ შეუღლია.

საღებავის გამყარებას ხშირად ჰაერში არსებული ჟანგბადი უწყობს ხელს. ჟანგბადის სასარგებლო და საზიანო თვისებებს შორის, ჩვენ, ლაქ-საღებავების მწარმოებლებს, ერთი განსაკუთრებით გვინტერესებს – მისი უნარი, შევიდეს რეაქციაში კონკრეტულ მოლეკუღებთან, სახელდობრ, ზოგიერთი ზეთის მოლეკუღებთან. ჟანგბადი ამ მოლეკუღებს შორის ერთგვარ ხიდს ქმნის, რის შედეგადაც მჭიდრო და მყარი ბადე იქმნება. სწორედ ამის გამოა, რომ, მაგალითად, სელის ზეთი ჰაერზე შრება.

ჩვენ სწორედ ისეთი ფისი გვქონდა შეძენილი, რომელიც ჩვეულებრივ ატმოსფერულ პირობებში ოთახის ტემპერატურაზეც შრება. შევწუხდით, როცა აღმოვაჩინეთ, რომ ფისის მორიგი პარტია სუფთა სახით ჩვეულებრივ შრებოდა, მაგრამ საკმარისი იყო, ის კონკრეტული სახეობის (და შეუცვლელ) მურთან შეგვერია, რომ გაშრობის უნარს საერთოდ კარგავდა. რამდენიმე ტონა შავი საღებავის გადაყრა უკვე მოგვიხდა, რადგან მისი გამოკეთების ყოველგვარი ცდა უშედეგოდ დამთავრდა: საღებავი ზედაპირზე დატანის შემდეგ ბუზების საჭერი ლენტივით ნებოვანი რჩებოდა.

ასეთ შემთხვევებში საქმეში კარგად უნდა გაერკვე, სანამ მომმარაგებელს მიმართავ საყვედურით. მით უმეტეს, რომ ჩვენი მომმარაგებელი კარგი რეპუტაციის მქონე გერმანული საწარმო „W.“ იყო. ის ყოვლისშემძლე კორპორაცია „IG-Farben“-ის ბაზაზე ჩამოყალიბდა, რომელიც ომის შემდეგ მოკავშირეებმა გაიყვეს. ასეთი საწარმოები, ბრალის აღიარების ნაცვლად, საბრძოლველად მძიმე არტილერიას იყენებენ თავიანთი რეპუტაციის სახით და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვიან. მაგრამ უკან დახევა არ შეგვეძლო: ამ განსაკუთრებულ ფისს მხოლოდ „W.“ აწარმოებდა და იმავე მურთან შერევისას აქამდე ჩვეულებრივ შრებოდა. თანაც კონტრაქტი გვქონდა სხვა საწარმოსთან, რომლისთვისაც განსაზღვრულ ვადაში უნდა მიგვეწოდებინა შავი ემალი და პირობას ვერ დავარღვევდით.

თავაზიანი წერილი დავწერე, რომელშიც საკითხი სრულად გავაშუქე და რამდენიმე დღეში პასუხიც მოვიდა. წერილი გრძელი იყო და პედანტურად დაწერილი. ყველასთვის კარგად ნაცნობი და უკვე ნაცადი ზომების მიღებას გვირჩევდნენ, რომლებმაც შედეგი, ბუნებრივია, ვერ გამოიღო. წერილს ფისის დაუანგვის პროცესის სრულიად უსარგებლო და გამიზნულად ჩახლართული აღწერილობაც ჰქონდა დართული. ის ფაქტი, რომ დრო თითქმის არ გვქონდა, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა საერთოდ არ გაითვალისწინეს და მხოლოდ ის გვაცნობეს, რომ სათანადო შემონმება უკვე მიმდინარეობდა. ისლა დაგვრჩენოდა, ფისის ახალი პარტია შეგვეკვეთა, ოღონდ იმ პირო-

ბით, რომ გამოგზავნამდე საგულდაგულოდ შეამოწმებდნენ, როგორ ურთიერთქმედებდა ის ჩვენ მიერ გამოყენებულ მურთან.

ოფიციალურ პასუხთან ერთად კიდევ ერთი გრძელი წერილი მოვიდა, რომელსაც ხელს იგივე დოქტორი მიუღერი აწერდა. პირველისგან განსხვავებით, ეს წერილი უფრო მეტ განმარტებას შეიცავდა. აღიარებდნენ ჩვენი პრეტენზიების საფუძვლიანობას (თუმცა ძალიან ფრთხილად და ბევრი შენიშვნის ფონზე) და უფრო კონკრეტულ რჩევებსაც გვაძლევდნენ: თურმე მიუღერის თანამშრომლებმა სრულიად მოულოდნელად („ganz unerwarteterweise“) აღმოაჩინეს, რომ ფისის ზემოხსენებული პარტიის „განკურნება“ შესაძლებელი იყო მასში 0,1 პროცენტი ვანადიუმის ნაფთენატის დამატებით. სალებავების სფეროში დიდი ხანია ვმუშაობდი, მაგრამ ამ ნივთიერებაზე არასოდეს მსმენოდა. იდუმალი დოქტორი მიუღერი ამ მეთოდის გამოყენებას დაუყოვნებლივ გვირჩევდა. თუ სასურველ შედეგს მივიღებდით, ორივე მხარე შევძლებდით იმ პრობლემების თავიდან არიდებას, რომლებიც აუცილებლად წარმოიქმნებოდა საერთაშორისო კონფლიქტისა და წუნიანი პარტიის დაბრუნების შემთხვევაში.

მიუღერი. წინა ცხოვრებაში შევხვედროდი ერთ მიუღერს. თუმცა მიუღერი გერმანიაში ისევე გავრცელებული გვარია, როგორც მოლინარი იტალიაში. მიუხედავად ამისა, ტექნიკური ტერმინებით გატენილი, ჩახლართული წინადადებებით გადატვირთული ორი წერილის გადაკითხვის შემდეგ ეჭვის ჭია მღრღნიდა, რომ საქმე სწორედ იმ მიუღერთან მქონდა. ეს აზრი მოსვენებას აღარ მაძლევდა. თუმცა რა დროს ეს იყო... გერმანიაში ორასი ათასი მიუღერი მაინც იქნებოდა, ასე რომ ჯობდა, ისევე სალებავის გამოსწორებაზე მეფიქრა.

მოულოდნელად წერილში ერთი უცნაური რამ შევნიშნე, რომელსაც პირველი ნაკითხვისას ყურადღება არ მივაქციე: „ნაფთენატის“ ნაცვლად „ნაპტენატი“ ეწერა და ეს ნამდვილად არ იყო ბეჭდვითი შეცდომა, რადგან ორჯერ მეორდებოდა. შეიძლება, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ყველაფერი, რაც იმ შორეულ წარსულში მოხდა, უმცირეს დეტალებში მახსოვს: მაშინ მივარდნილ

ლაბორატორიაში ვმუშაობდი, სადაც გამყინვარება, იმედი და შიში მეფობდა და იქ ის, სხვა მიუღწერადი „ბეტანაფთილამინის“ ნაცვლად ყოველთვის „ბეტანაპტილამინის“ ამბობდა.

რუსები უკვე ძალიან ახლოს იყვნენ. მოკავშირეთა თვითმფრინავები დღეში ორჯერ-სამჯერ ბომბავდნენ სამრეწველო ზონას. ქარხანაში აღარც წყალი გვექონდა, აღარც სინათლე. ფანჯრებში ყველა მინა ჩამსხვრეული იყო. თუმცა გერმანელებისგან ბრძანება გვექონდა მიღებული, რომ რეზინის წარმოება უნდა გაგვეგრძელებინა. გერმანელები კი ბრძანებებს არასდროს ცვლიან.

ლაბორატორიაში სამი ვიყავით. იმ მეცნიერებს ვგავდით, მდიდარ რომაელებს საბერძნეთიდან რომ ჩამოჰყავდათ. მუშაობა უკვე შეუძლებელი და, რაც მთავარია, უსარგებლო იყო. თითქმის მთელი დრო იმაში გვეხარჯებოდა, რომ საჭირო განგაშის სიგნალისას აპარატურა დაგვეშალა, შემდეგ კი ისევ აგვენყო. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, გერმანელები ბრძანებებს არასდროს ცვლიან და დროდადრო ჩვენამდე, ნანგრევებისა და დათოვლილი გზების გავლით, ინსპექტორი მოდიოდა. ის ამონებდა, რომ სამუშაო წესისამებრ გაგრძელებულიყო. ზოგჯერ რომელიმე გაქვავებულსახიანი ესესელი გვაკითხავდა, ხანდახან – ადგილობრივი მილიციის შიშისგან აკანკალებული, ხანში შესული თანამშრომელი ან სამოქალაქო პირი. სამოქალაქო პირებიდან ყველაზე ხშირად დოქტორი მიუღწერადი მოდიოდა.

როგორც ჩანს, საკმაოდ გავლენიანი ვინმე იყო, რადგან ყველა პირველი ესალმებოდა. ორმოც წლამდე ასაკის, მაღალი და ბრვე კაცი გახლდათ. უბრალო გლახს უფრო ნააგავდა, ვიდრე დახვეწილადამიანს. მასთან სამჯერ მომიწია ლაპარაკი და სამივეჯერ უჩვეულოდ მორიდებულად იქცეოდა, თითქოს რაღაცის რცხვენოდა. პირველ ჯერზე მხოლოდ საქმეს შევხებთ. სწორედ მაშინ ვილაპარაკეთ იმ „ნაპტილამინის“ დოზებზე. მეორედ მკითხა, ამხელა წვერი რატომ გაქვთო. მე კი ვუპასუხე, სამართებელი კი არა, ცხვირსახოციც არ გვაქვს, გაპარსვის საშუალებას კი მხოლოდ ორმაზა-

თობით გვაძლევენ-მეთქი. მესამე ჯერზე მანქანაზე აკურატულად დაბეჭდილი ქალაღი მომცა, რომლითაც დამატებით ხუთშაბათობით წვერის გაპარსვა და სანყობიდან ერთი წყვილი ტყავის ფეხსაცმლის აღება შემეძლო. თქვენობით მომმართა და მკითხა, სულ ასეთი შეფიქრიანებული რატომ ხართო. მაშინ უკვე გერმანულად ვფიქრობდი და გულში ვთქვი: „Der Mann hat keine Ahnung“<sup>25</sup>.

თუმცა საქმეს დავუბრუნდეთ. ჩვენს მომმარაგებლებს შორის სასწრაფოდ ვანადიუმის ნაფთენატი მოვიძიე, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ამ ნივთიერებას მხოლოდ წინასწარი შეკვეთით ამზადებდნენ, ისიც მცირე რაოდენობით. მაშინვე შევუკვეთე.

იმ „პტ“-ს გახსენებამ უცნაურად ამაფორიაქა. ბანაკის შემდეგ ჩემი ყველაზე ძლიერი სურვილი სწორედ „იმათგან“ ვინმესთან პირისპირ შეხვედრა იყო. ეს სურვილი ნაწილობრივ დავიკმაყოფილე ჩემი გერმანელი მკითხველების წერილების სახით, მაგრამ ვერ ვმშვიდდებოდი. თანაგრძნობისა და სინანულის გამომხატველი ზოგადი სიტყვები ჩემთვის უცნობი ხალხისგან კმაყოფილებას ვერ მგვრიდა. ბოლოს და ბოლოს, მათ ხომ რეჟიმის უნებური მხარდაჭერის გარდა არაფერი დაუშავებიათ. შეხვედრა, რომელსაც ასე ველოდი და რომელიც ღამღამობითაც კი მესიზმრებოდა (თანაც გერმანულად), უნდა შემდგარიყო რომელიმე ჩვენს ზემდგომთან, რომელიც თვალეშიც კი არ გვიყურებდა, თითქოს ჩვენ თვალეზი არ გვექონდა. შურისძიების წყურვილი არ მამოდრავებდა, გრაფი მონტე-კრისტო ხომ არ ვარ. მხოლოდ ყველაფრის გარკვევა მსურდა. თანაც მინდოდა, მეკითხა: „აბა რას იტყვი?“. თუ ეს სწორედ ის მიუღერი იყო, მთლად მტრის ფიგურად მაინც არ გამოდგებოდა, რადგან მან ჩემ მიმართ წამიერი სიბრაღული თუ რაღაც პროფესიული თანაგრძნობის მსგავსი გამოხატა. შეიძლება, არც სიბრაღული იყო და არც თანაგრძნობა და უბრალოდ ეწყინა, რომ მე – სპეციალისტისა და დამხმარე მუშის უცნაური ნაჯვარი – ქიმიკო-

<sup>25</sup> ამ კაცს არაფერი გაეგება.

სისტემის შეუფერებელი სახით („ohne Anstand“) დავდიოდი ლაბორატორიაში. თუმცა ესეც დასაფასებელია, რადგან სხვებს მსგავსიც არაფერი უგრძნიათ. მოკლედ, მტრის იდეალური ფიგურა არ იყო, მაგრამ ცხოვრებაში იდეალური ხომ არაფერია.

მაშინ „W.“-ს ერთ-ერთ წარმომადგენელს დავუკავშირდი, რომელთანაც საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა და ვთხოვე, ფარულად დოქტორ მიუღერზე ცნობები მოეძია: რამდენი წლის იყო, როგორ გამოიყურებოდა, სად იყო ომის დროს. პასუხი მალევე მომივიდა. ასაკი და გარეგნობა ემთხვეოდა. თავიდან ფისის წარმოებაში დასახელოვნებლად შკოპაუში უმუშავია, შემდეგ კი – ბუნაში, ოსვენციმში. მიუღერის მისამართი გავიგე და ჩემი რომანის „ნუთუ ეს ადამიანია?“ გერმანული გამოცემა და წერილი გავუგზავნე, რომელშიც ვეკითხებოდი, ნამდვილად ის მიუღერი იყო თუ არა ოსვენციმიდან და „ლაბორატორიის სამი მუშაკი“ თუ ახსოვდა. ბოდიშიც მოვუხადე ასე არსაიდან მის ცხოვრებაში შეჭრისთვის და ვაცნობე, რომ იმ სამიდან ერთ-ერთი ვიყავი. ისიც მივწერე, რომ იმ საწარმოს წარმოვადგენდი, რომელსაც უშრობადი ფისით ამარაგებდა.

წერილის პასუხს ველოდებოდი, სამსახურებრივი მიმონერა კი ამასობაში თავისი გზით მიმდინარეობდა. ეს პროცესი ძალიან წააგავდა უზარმაზარი ქანქარის ნელ რხევას. ვინაიდან იტალიური ვანადიუმი გერმანულის იდენტური არ იყო, ჩვენი მხარე მათ სთხოვდა, გამოეგზავნათ მონაცემები გერმანული პროდუქტის შედგენილობის შესახებ და ასევე, საჭაერო ფოსტით, ორმოცდაათი კილოგრამი თვით ეს ნივთიერება. რა თქმა უნდა, ხარჯებს ჩვენ ვანაზღაურებდით. ტექნიკურად თითქოს პრობლემა ნელ-ნელა გვარდებოდა, მაგრამ ჯერ ისევ უცნობი იყო, რა ელოდა ფისის წუნთან პარტიას. უკან უნდა გაგვეგზავნა გერმანული საწარმოს ხარჯზე, ანაზღაურება უნდა მოგვეთხოვა თუ არბიტრაჟისთვის მიგვემართა? დასაწყისისთვის დავემუქრეთ, რომ ყველაფერს სასამართლო გადაწყვეტდა („gerichtlich vorzugehen“).

პირად წერილზე პასუხი აგვიანებდა, რაც ფისის ამბავზე არანაკლებ მალიზიანებდა. რა ვიცოდი ამ ადამიანზე? არაფერი. რო-

გორც ჩანს, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ყველაფერი დაივიწყა. ჩემი წიგნი და წერილი მისთვის, ალბათ, პირად ცხოვრებაში უხემ და თავხედურ შეჭრას, უკვე დანმენდილი წყლის ამღვრევასა და ზრდილობის წესების (Anstand) დარღვევას ნიშნავდა. სავარაუდოდ, არ მიპასუხებდა. სამწუხაროა: ტიპური გერმანელი არ იყო. საერთოდ არსებობენ კი ტიპური გერმანელები? ან ტიპური ებრაელები? ეს ხომ მხოლოდ განზოგადებაა. ზოგადიდან კონკრეტულზე გადასვლა კი ყოველთვის მოულოდნელ აღმოჩენებს გულისხმობს და როცა ვიღაც უსახო, ინდივიდუალიზმისგან დაცლილი ნელ-ნელა ან მყისვე საკუთარ სახეს იძენს, პარტნიორად (Mitmensch) გადაიქცევა, სწორედ მაშინ აღმოაჩენ მასში ნაკლოვანებებს, გადახრებსა და შეუთავსებლობებს. ამასობაში წერილის გაგზავნიდან უკვე ორი თვე გავიდა. როგორც ჩანს, პასუხი არ მელირსება. სამწუხაროა.

საპასუხო წერილი გამოჩნდა. სანარმოს შტამპიან ლამაზ ქალაქდზე იყო დაბეჭდილი ძნელად გასარჩევი გოთური შრიფტით. 1967 წლის 2 მარტით თარიღდებოდა. რაღაც აღიარების მსგავსი იყო, მოკლე და თავშეკავებული. სწორედ ის მიუღერი გახლდათ. ჩემი წიგნი წაიკითხა, აღელვებულმა, ადამიანები და ადგილები იცნო. მოხარული იყო, რომ ცოცხალი ვიყავი. დანარჩენი ორი კოლეგის ბედიც აინტერესებდა. მათ სახელებით მოიხსენიებდა, თუმცა ამაში უცნაური არაფერი იყო: მათზე ხომ წიგნში მენერა. გოლდბაუმის შესახებაც მეკითხებოდა, თუმცა ის წიგნში არ მიხსენებია. დასძენდა, რომ თავისი იმდროინდელი ჩანაწერებიც გადაიკითხა. მათ სიამოვნებით წამიკითხავდა პირადად შეხვედრის დროს. ეს შეხვედრა ხომ აუცილებელი იყო „როგორც მისთვის, ისე ჩემთვის, რათა ის საზარელი წარსული დაგვეძლია“ („im Sinne der Bewältigung der so furchtbaren Vergangenheit“). იმასაც მწერდა, რომ ოსვენციმის ტყვეთაგან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მასზე სწორედ მე მოვახდინე, თუმცა ეს, შეიძლება, პირფერობაც ყოფილიყო. წერილის ტონიდან და ნახსენები „წარსულის გადალახვიდან“ გამომდინარე დავასკვენი, რომ მიუღერი ჩემგან რაღაცას ელოდა.

ახლა ჩემი ჯერი იყო, რომ მეპასუხა და დავიბენი. სანადელს მივალნე, მტერი ნაპოვნი მყავდა. თითქმის ჩემი კოლეგა იყო, ჩემსავით შტამპიან ქალაქში წერდა და გოლდბაუმიც კი ახსოვდა. ყველაფერი ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო, მაგრამ ერთ რამეს ვხვდებოდი: ჩემგან რაღაც გამართლებების მსგავსს მოელოდა, მას ჰქონდა „დასაძლევნი ნარსული“ და არა მე. მე მისგან მხოლოდ კომპენსაცია მინდოდა ფისის წუნიათი პარტიისთვის. საინტერესო, თუმცა უცნაური ვითარება შეიქმნა: ვინ იყო დამნაშავე და ვინ – მსაჯული?

პირველ რიგში ენის საკითხი მქონდა გადასაწყვეტი. რა ენაზე უნდა მეპასუხა? რა თქმა უნდა, გერმანულად არა, რადგან უამრავ სამარცხვინო შეცდომას დავეუშვებდი, რაც ჩემს მდგომარეობას არ შეჰფეროდა. ჯობდა, ისევ საკუთარ მოედანზე მეტამაშა, ამიტომ იტალიურად მივწერე: ჩემი ორი კოლეგა, რომლებზეც მეკითხებოდა, გარდაიცვალა, თუმცა არ ვიცოდი, სად და როგორ. გოლდბაუმიც მკვდარი იყო: ბანაკის ევაკუაციის დროს გზაში სიცივიტა და შიმშილით მოკვდა. ჩემ შესახებ კი ცნობებს წიგნში და საწარმოების ოფიციალურ მიმონერაშიც მიაკვლევდა.

მე კი მინდოდა, უამრავი რამ მეკითხა მისთვის: რატომ არსებობდა ოსვენციმი და დოქტორი პანვიცი? რატომ გაგუდეს გაზით ბავშვები? თუმცა ვგრძნობდი, რომ ჯერ ამ ზღვრების გადაკვეთის დრო არ დამდგარიყო. მხოლოდ ის ვკითხე, ჩემს წიგნში პირდაპირ და არაპირდაპირ გამოთქმულ მსჯელობას თუ ეთანხმებოდა. ხომ არ ფიქრობდა, რომ კორპორაცია „IG-farben“-ი გულგრილად მოეკიდა შრომის ექსპლუატაციის საკითხს? იცოდა თუ არა ოსვენციმში არსებული იმ ნაგებობის შესახებ, რომელიც ბუნის საწარმოდან სულ რაღაც შვიდ კილომეტრში 10 000 სიცოცხლეს შთანთქავდა დღეში? დაბოლოს, შეეძლო თუ არა ნახსენები იმდროინდელი ჩანაწერების გამოგზავნა ჩემთვის?

„პირადად შეხვედრა“ არც მიხსენებია, რადგან მეშინოდა. ევფემიზმების ძებნას აზრი არ ჰქონდა. ეს შიში იყო და არა სირცხვილი, ზიზღი ან მტრობა. შიში სწორედ რომ ზუსტი სიტყვაა. თავს არც მონტე-კრისტოდ ვთვლიდი და არც რომელიმე ჰორაციუსად

თუ კურიაციუსად<sup>26</sup>. მზად არ ვიყავი, ოსვენციმში დალუპულთა წარმომადგენლობა მეტვირთა და მიუღერის სახით ყველა იქაური ჯალათი განმესაჯა. საკუთარ თავს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ კამათისთვის აუცილებელი სისხარტე მაკლია. მოწინააღმდეგე თავგზას მიზნევს. მე ის, როგორც ადამიანი, უფრო მაინტერესებს, ვიდრე როგორც მეტოქე. სწორედ ამიტომ დიდი შანსია, რომ ის თავის სიმართლეს დამაჯერებს. განსჯის უნარი მხოლოდ მაშინ მიბრუნდება, როცა უკვე გვიანაა. მოკლედ, მიმონერის გაგრძელება მერჩივნა.

მიუღერმა ოფიციალური წერილით შემატყობინა, რომ სანარმო „W.“ ორმოცდაათ კილოგრამ ვანადიუმს გვიგზავნიდა და დიდი სურვილი ჰქონდათ, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარებულიყო. თითქმის იმავე დროს სახლის მისამართზე ის წერილიც მომივიდა, რომელსაც ასე ველოდი. მაგრამ მას სანიმუშო ნამდვილად არ ეთქმოდა. მთელი ეს ამბავი ჩემი გამოგონილი რომ ყოფილიყო, ორი ვარიანტიდან ერთ-ერთს ავირჩევდი: პირველ შემთხვევაში წერილი უშუალო, თბილი იქნებოდა და მომნანიე ქრისტიანი გერმანელის დანერილს ემსგავსებოდა; მეორე შემთხვევაში კი ეს გამოუსწორებელი ნაცისტის მიერ შეთხზული ქედმაღლური, გულგრილი და ცივი უსტარი იქნებოდა. მაგრამ ეს ამბავი ჩემი გამოგონილი არაა, სინამდვილე კი ყოველთვის გამონაგონზე უფრო რთული, მწარე და უხეშია. მისი წინასწარმეტყველება თითქმის შეუძლებელია.

ეს იყო რვაგვერდიანი წერილი თანმხლები ფოტოთი, რომლის დანახვამაც შემადრწუნა. სწორედ რომ მის სახეს ვხედავდი: ცოტა დაბერებულს, თუმცა პროფესიონალი ფოტოგრაფის მიერ უფრო გაკეთილშობილებულს. თითქოს ისევ ჩამესმა, როგორ მკითხა მიუღერმა დაბნეულად და ოდნავ შესამჩნევი თანაგრძნობის კილოთი: „რატომ ხართ ასეთი შეფიქრიანებული?“

---

<sup>26</sup> რომაული ლეგენდის მიხედვით, ჰორაციუსები (სამი ტყუპი ძმა) თავიანთ სამ დეიდაშვილს – ალბელ კურიაციუსებს – შეებრძოლნენ და მშობლიურ რომს გამარჯვება მოუტანეს.

ნერილის ავტორი ამკარად არ იყო მიჩვეული წერას. ეს გახლდათ ერთდროულად რიტორიკული, ნახევრად გულწრფელი, ამალელებელი, პედანტური და უხერხული წერილი, სავსე უამრავი გადახვევით, ზღვარგადასული კომპლიმენტებითა და ზოგადი მსჯელობით ყველაფერზე.

ოსვენციმში მომხდარში ის ზოგადად ადამიანურ ბუნებას ადანაშაულებდა და არა რომელიმე კონკრეტულ პირს. მომხდარს კიცხავდა და, ამასთანავე, ნუგეშს პოულობდა ისეთი ადამიანების არსებობაში, როგორებიც იყვნენ ჩემს წიგნში ნახსენები ალბერტო და ლორენცო, „რომელთა წინაშე იარაღი უძღურია“. ეს ჩემი ფრაზაა, თუმცა, მიუღერის მიერ ციტირებული, პირფერულად ჟღერდა. თავის თავზე მწერდა, რომ „სახალხო ენთუზიაზმს აყოლილი, ჰიტლერის რეჟიმს სიხარულით შეხვდა“ და ნაციონალისტურ სტუდენტურ კავშირს შეუერთდა, რომელიც შემდეგ ნაცისტურ „მოიერიშე რაზმებად“ (Sturmabteilungen) გადაკეთდა. მოგვიანებით ორგანიზაციიდან გამოსვლა მოახერხა. როგორც მწერდა, „ესეც შესაძლებელი ყოფილა“. ომის დროს საჰაერო თავდაცვაში გადაუყვანიათ და მხოლოდ მაშინ, დანგრეული ქალაქების ხილვისას უგრძნია პირველად „სირცხვილი და ზიზი“. 1944 წლის მაისში ქიმიკოსად (ჩემსავით) მუშაობის დანყება მოუხერხებია შკოპაუში, „IG-Farben“-ის ქარხანაში. ოსვენციმში აშენებული ქარხანა მის გაფართოებულ ვარიანტად იყო ჩაფიქრებული. შკოპაუს ლაბორატორიაში მან უკრაინელ გოგონათა ჯგუფი აიყვანა და მათ საქმეც შეასწავლა. ამ გოგონებს ოსვენციმში ვხედავდი ხოლმე და მათ ნაცნობობას მიუღერთან მაშინ ვერაფრით ვხსნიდი. ოსვენციმში უკრაინელებთან ერთად 1944 წლის ნოემბერში გადმოიყვანეს. სახელი „აუშვიცი“ (ოსვენციმი) მაშინ არც მიუღერისა და არც მისი ნაცნობებისთვის არაფერს ნიშნავდა. თუმცა ჩამოსვლისთანავე ის ტექნიკურ დირექტორს (დიდი ალბათობით, ინჟინერ ფაუსტს) შეხვედრია, რომელსაც გაუფრთხილებია, რომ „ბუნაში ებრაელებისთვის მხოლოდ შავი სამუშაო უნდა მიეცათ, ხოლო მათ მიმართ თანაგრძნობის გამოხატვა დაუშვებელი იყო“.

მიუღერი დოქტორ პანვიცის უშუალო დაქვემდებარებაში მოხვდა. სწორედ ამ პანვიცმა მომიწყო „სახელმწიფო გამოცდა“, რათა ჩემს პროფესიონალიზმში დარწმუნებულიყო. მიუღერს პანვიცზე მხოლოდ ცუდი მოგონებები შემორჩენოდა. მისივე თქმით, დოქტორი 1946 წელს ტვინის კიბოთი გარდაცვლილა. აღმოჩნდა, რომ სწორედ მიუღერი ყოფილა ბუნის ლაბორატორიის სულის ჩამდგმელი. ირწმუნებოდა, რომ იმ გამოცდაზე არაფერი იცოდა და რომ სწორედ მან აგვირჩია ჩვენ სამნი სამუშაოდ, პირველ რიგში კი – მე. ეს ნაკლებად სარწმუნო, თუმცა შესაძლებელი ფაქტი მიუღერის მოვალედ მაქცევდა: მან ხომ ამით სიცოცხლე შემინარჩუნა. მწერდა, რომ თითქმის მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა, თითქოს სამეცნიერო პრობლემებზეც ვმსჯელობდით და თითქოს მაშინ ფიქრობდა, რომ „საშინელება იყო ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ მეორეთა ღირსებების ასეთი სისასტიკით განადგურება“. საქმე ის არ არის, რომ ერთი ასეთი საუბარიც კი არ მახსოვს (არადა, მოგეხსენებათ, მშვენიერი მახსოვრობა მაქვს); უბრალოდ, ვერც კი წარმომიდგენია, რომ მკვდრებივით დაღლილებს, ჩამოქცეულ შენობაში, საყოველთაო უნდობლობის პირობებში რამე სამეცნიერო პრობლემაზე გვემსჯელა. აქ მხოლოდ ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა: დოქტორი მიუღერი სასურველს სინამდვილედ ასაღებდა (რასაც ინგლისელები wishful thinking-ს უწოდებენ). ალბათ, ამ ამბავს ხშირად ჰყვებოდა და ველარ მოიფიქრა, რომ მე ერთადერთი ვიყავი, ვინც არ დაუჯერებდა. კეთილი მიზნებით გამსჭვალულმა მიუღერმა წარსული თავისთვის ხელსაყრელად წარმოსახა. წვერისა და ფეხსაცმლის ამბავი აღარ ახსოვდა, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, მეხსიერებაში სხვა დეტალებს ინახავდა. სახელდობრ, ახსოვდა, რომ ქუთნორუმა მჭირდა. ასევე, წუხდა ჩემს ბედზე, განსაკუთრებით, როცა გაიგო, რომ ტყვეების ევაკუაციას ახდენდნენ. 1945 წლის 26 იანვარს ეს-ესიდან სახალხო ლაშქარში (Volkssturm) გადაიყვანეს. ეს იყო სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარების, მოხუცებისა და ბავშვებისგან შემდგარი არმია, რომელსაც საბჭოთა ჯარებისთვის უნდა გაენია წინააღმდეგობა.

საბედნიეროდ, ზემოხსენებულმა ტექნიკურმა დირექტორმა მიუ-  
ლერი იხსნა და ზურგში გააგზავნა.

როცა „IG-Farben“-ში არსებულ შრომის ექსპლუატაციაზე ვკით-  
ხე, მიპასუხა, რომ ექსპლუატაცია მართლაც არსებობდა, მაგრამ  
მხოლოდ ტყვეთა გადასარჩენად. მიუღერმა ისიც კი მომწერა, რომ  
ბუნა-მონოვიცის რვა კვადრატულ კილომეტრზე გადაჭმული გი-  
განტური სანარმო „ებრაელთა დასაცავად და გადასარჩენად აშენ-  
და“. წარმოგიდგენიათ?! ხოლო ის ბრძანება, რომ ებრაელთა მი-  
მართ თანაგრძნობა დაუშვებელი იყო, „eine Tarnung“, ანუ შენიღბვა,  
გახლდათ. Nihil de Principe – „IG-Farben“-ზე ცუდი არაფერი უნდა  
თქმულიყო. მიუღერი ხომ ჯერ ისევ „W.“-ში მუშაობდა, რომელიც  
„IG-Farben“-ის მემკვიდრე იყო. იმ ჯამში კი, საიდანაც ჭამ, არ უნდა  
ჩააფურთხო. იმ მცირე ხნის მანძილზე, რაც ოსვენციმში ცხოვრობ-  
და, „არაფერი შეუნიშნავს ისეთი, რაც დაადასტურებდა, რომ იქ ებ-  
რაელებს ხოცავდნენ“. ეს პარადოქსული და შურაცხმყოფელი იყო,  
მაგრამ შესაძლებელიც. დადუმებული გერმანელების უმრავლესობა  
ბევრის ცოდნისკენ არ მიილტვოდა და კითხვასაც ცოტას სვამდა.  
ალბათ, მიუღერიც არავის უსვამდა კითხვებს, მათ შორის, არც სა-  
კუთარ თავს. არადა, კარგ ამინდში ბუნის ფანჯრებიდან შესანიშნა-  
ვად ჩანდა კრემატორიუმიდან ამოსული კვამლი.

საბოლოო მარცხამდე ცოტა ხნით ადრე იგი ამერიკელებმა  
დაატყვევეს და სამხედრო ტყვეთა ბანაკში გაამწესეს, რომელიც  
მიუღერმა დაუფარავი სარკაზმით „პრიმიტიულად მონყობილად“  
მოიხსენია. მამასადამე, როგორც მაშინ, ლაბორატორიაში შეხვედ-  
რების დროს, დოქტორი ახლაც, როცა ამ წერილს წერდა, ვერა-  
ფერს ხვდებოდა. ოჯახს 1945 წლის ივნისის ბოლოს დაუბრუნდა.  
მისი ჩანაწერების მოკლე შინაარსი ასეთი იყო.

ჩემი წიგნის სტრიქონებში მას იუდაიზმის დაძლევა, მტრები-  
სადმი ქრისტიანული სიყვარული და ადამიანისადმი რწმენა ამოუ-  
კითხავს. წერილის ბოლოს დაჟინებით მთხოვდა შეხვედრას და  
დროისა და ადგილის არჩევას მე მანდობდა. სულერთი იყო, გერმა-  
ნიაში შევხვდებოდით თუ იტალიაში, თუმცა რივიერას ამჯობინებ-

და. ორ დღეში სამსახურში „W.“-დან წერილი მივიღე. შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო, რომ თარიღი პირადი წერილისას ემთხვეოდა და ხელსაც მიუღერი აწერდა. ერთგვარი შემრიგებლური წერილი გახლდათ: გერმანელები ბრალეულობას აღიარებდნენ და მზად იყვნენ, ჩვენი წინადადებები განეხილათ. მათი თქმით, ზოგი ჭირი მარგებელი იყო, რადგან ახლა უკვე ვიცოდით ვანადიუმის ნაფთენატის შესახებ, რომელსაც მომავალში პირდაპირ ფისში შეურევდნენ და კლიენტს ისე გაუგზავნიდნენ.

რა უნდა მექნა? მიუღერის პერსონაჟი ჭუპრიდან პეპლად გარდაქმნილი გამოვიდა და საბოლოო სახით წარდგა ჩემ წინაშე. არც ნაძირალა იყო და არც გმირი; თუ რიტორიკასა და კეთილი თუ ბოროტი ზრახვით ნათქვამ ტყუილებს გამოვრიცხავდი, მისგან ტიპური „რუხი“ ადამიანი რჩებოდა: ცალთვალა – ბრმების ქვეყანაში. ის მე დაუმსახურებელ ღირსებას მომანერდა – მტრების სიყვარულს. მიუხედავად იმისა, რომ მიუღერი ჩემი მტერი (პირდაპირი გაგებით) არ იყო და ჩემთვის სიკეთეც ჰქონდა გაკეთებული, მის მიმართ სიყვარულს არ ვგრძნობდი. არ მიყვარდა ის და არც მისი ნახვა მინდოდა, თუმცა პატივისცემას მაინც იმსახურებდა: ადვილი ხომ არაა ცალთვალობა. ის არც გულგრილი იყო, არც გულქვა და არც ცინიკოსი. ურთიერთობა წარსულთან ჯერ ისევ ვერ გაერკვია, თუმცა ამას ცდილობდა, ან თავს აჩვენებდა, რომ ცდილობდა. მეტი რა უნდა მოგეთხოვა ყოფილი ნაცისტი სამხედროსგან? თანაც, მიუღერი სხვა კეთილსინდისიერ გერმანელებს რომ შევადარო, რომლებსაც პლაჟზე ან ქარხანაში შევხვედრივარ, სასწორი მის მხარეს გადაიხრება. ის ნაციზმს შეფარულად და მორცხვად განსჯიდა, მაგრამ მისი გამართლება არასდროს უცდია. მიუღერს სინდისი ჰქონდა და უნდოდა, დაემშვიდებინა იგი, სწორედ ამიტომ უნდოდა ჩემთან შეხვედრა. პირველ წერილში ის „წარსულის დაძლევაზე“ (Bewältigung der Vergangenheit) ლაპარაკობდა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ეს დღევანდელ გერმანიაში სტერეოტიპული გამოთქმაა, ევფემიზმი და „ნაციზმისგან განთავისუფლებას“ ნიშნავს. თუმცა ფუძე „walt“-ს შეიცავს ისეთი გერმანული სიტყვებიც,

როგორებიცაა: „ბატონობა“, „ძალადობა“, „უხეში მოპყრობა“, ამიტომ გამოთქმაც „დაძლევად“ კი არა „წარსულის დამახინჯებად“ ან „წარსულზე ძალადობად“ რომ ვთარგმნოთ, ვფიქრობ, არსთან მაინც ახლოს იქნება. მაგრამ ზოგადი სიტყვებით თავდაცვა უკეთესია, ვიდრე ზოგიერთი გერმანელის უსაზღვრო სიბრყივე. მისი „წარსულის დაძლევის“ გზები სულელური, სასაცილო, გამაღიზიანებელი, სევდის მომგვრელი იყო, მაგრამ მაინც პატივსაცემი. ბოლოს და ბოლოს, ფეხსაცმელი ხომ მაჩუქა?

პირველივე უქმე დღეს წერილის წერას შევეუდექი. მინდოდა, ის რაც შეიძლება გულწრფელი, განონასწორებელი და ღირსეული გამოსულიყო. მადლობას ვუხდიდი ლაბორატორიაში ჩემი შეშვებისთვის; ვუხსნიდი, რომ მზად ვიყავი, მტრებისთვის მეპატიებინა და შემეყვარებინა ისინი, თუ სინანულს დამანახებდნენ და მტრად აღარ მომეკიდებოდნენ. ხოლო თუ მტერი კვლავ იმისკენ მიიღტვის, რომ სხვას ტკივილი მიაყენოს, მაშინ მისი პატიება დაუშვებელია. შეიძლება, სცადო მისი გადარწმუნება, შეიძლება (და საჭიროა) მასთან კამათი, მაგრამ ჩვენი ვალი მაინც მისი გასამართლებაა და არა პატიება. რაც შეეხებოდა მის ახლანდელ პოზიციას და ჩემს მოსაზრებას ამ საკითხზე, პასუხის ნაცვლად, რომელსაც ელოდა, მხოლოდ ჩემთვის ნაცნობი ორი მაგალითი მოვუყვანე: მოვუყევი, როგორ არ შეუშინდა რეჟიმს მისი ორი გერმანელი კოლეგა და ჩვენთვის მიუღწერზე ბევრად მეტი გააკეთა. ვალიარებდი, რომ ყველა გმირად არ იბადება; თუმცა ყველა მისნაირი რომ იყოს (ანუ პატიოსანი და უძღური), სამყარო გასაძლისი, მაგრამ სრულიად არარეალური იქნებოდა. რეალურ სამყაროში ძლიერები ოსვენციმს აშენებენ, უძღურები კი მათ გზას უსუფთავებენ. ამიტომ ოსვენციმში მომხდარის გამო პასუხი მხოლოდ ყველა გერმანელმა კი არა, თითოეულმა ადამიანმა უნდა აგოს. ოსვენციმის შემდეგ კი არავინ უნდა გაბედოს, უძღური იყოს. რივიერაზე შეხვედრაზე სიტყვაც არ დამიძრავს.

იმავე საღამოს მიუღწერმა გერმანიიდან დამირეკა. საკმაოდ ცუდი კავშირი იყო და გერმანულიც კარგად აღარ მესმოდა. და-

ძაბული ხმა ჰქონდა, თითქოს ლაპარაკისას მღელვარებისგან სუნ-  
თქვა ეკვროდა. მაცნობა, რომ ექვსი კვირის შემდეგ, სულთმოფე-  
ნობაზე, ფინალე-ლიგურეში ჩამოვიდოდა და მკითხა, შეიძლებოდა  
თუ არა, შევხვედროდით. დაბნეულობისგან დავეთანხმე. ვთხოვე,  
ჩამოსვლამდე კიდევ ერთხელ შეეთანხმებინა შეხვედრის დეტალები  
და უკვე უსარგებლო წერილი აღარ დამიმთავრებია.

რვა დღის შემდეგ სინიორა მიულერისგან წერილი მივიღე. მატ-  
ყობინებდა, რომ დოქტორი ლოთარ მიულერი სამოცი წლის ასაკში  
მოულოდნელად გარდაცვლილიყო.